



საქართველოს პარლამენტის გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

უკრაინაში 1932-1933 წლებში შიმშილისა და პოლიტიკური რეპრესიების
შედეგად დაღუპულთა ხსოვნის უკვდავყოფის შესახებ

საქართველოს პარლამენტი:

მიიჩნევს, რომ დემოკრატიული საზოგადოების უპირველესი მოვალეობა
ომის, გენოციდისა და კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულების
ნებისმიერი გამოვლინების უმკაცრესი შეფასება და დაგმობაა,

გმობს ასეთ დანაშაულებს და აღნიშნავს, რომ საქართველო მიუერთდა
1948 წლის 9 დეკემბრის კონვენციას „გენოციდის დანაშაულის თავიდან
აცილებისა და დასჯის შესახებ“ და 1968 წლის 26 ნოემბრის კონვენციას
„ომისა და კაცობრიობის წინააღმდეგ დანაშაულებში ხანდაზმულობის ვადების
გამოუყენებლობის თაობაზე“.

აქედან გამომდინარე, საქართველოს პარლამენტი აღნიშნავს შემდეგს:

უკრაინაში შიმშილი და თანმდევი პოლიტიკური რეპრესიები დაიგეგმა და
განხორციელდა ტოტალიტარული რეჟიმის პერიოდში, საბჭოური სოფლის
მეურნეობის კოლექტივიზაციის წინააღმდეგ უკრაინელი ხალხის გამოსვლების
ჩახშობის, მისი კულტურული და ეთნიკური იდენტურობის განადგურების
მიზნით. კომუნისტების მიერ 1932-33 წლებში ორგანიზებულმა და
განხორციელებულმა გენოციდმა 7 მილიონზე მეტი უკრაინელის სიცოცხლე

შეიწირა; ყოველდღიურად ათასობით ადამიანი იღუპებოდა შიმშილით, მაშინ, როდესაც საბჭოთა ხელისუფლება ტონობით მარცვლეულის ექსპორტს ახდენდა ქვეყნიდან დასავლეთში. საბჭოთა კავშირი ათწლეულების განმავლობაში უარყოფდა იმ სისასტიკეს, რომელიც დაიგეგმა და აღსრულდა უკრაინაში სტალინის მმართველობის დროს. ამ მოვლენებს უმძიმესი შედეგები მოჰყვა – უკრაინის ეთნიკური იდენტურობის მოშლა და კულტურული თვითმყოფადობის დაკნინება.

საქართველოს პარლამენტი:

ითვალისწინებს, რომ 1998 წლის 26 ნოემბერს უკრაინის პრეზიდენტმა გამოსცა ბრძანება, რომლითაც ყოველი წლის ნოემბრის მეოთხე შაბათი გამოცხადდა პოლიტიკური რეპრესიებისა და შიმშილის მსხვერპლთა ხსოვნის დღედ, ხოლო 2002 წლის 28 ნოემბერს „ვერხოვნა რადამ“ უკრაინაში 1932-33 წლებში მოწყობილი შიმშილი უკრაინელი ხალხის წინააღმდეგ განხორციელებულ გენოციდის აქტად აღიარა,

აცნობიერებს, რომ აღნიშნულ პერიოდში ტოტალიტარულმა ბოლშევიკურმა რეჟიმმა უკრაინელი ხალხის წინასწარგანზრახული გენოციდი განახორციელა,

თანაგრძნობასა და სოლიდარობას უცხადებს უკრაინელ ხალხს და გამოთქვამს თავის მწუხარებას 1932-33 წლებში უკრაინაში განხორციელებული გენოციდის მსხვერპლთა დაღუპვის გამო.

თბილისი,
2005 წლის 20 დეკემბერი.